საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 24 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

ერთი დღის თვით 250 მანეთი. ცალკე ნომერი [illegible] 10 მანეთი განცხადებები [illegible] 15 მანეთი [illegible] 10 მანეთი [illegible] (15 × 2) 300 მანეთი [illegible] ერთობის ქ. № 4. [illegible] რუსთაველის [illegible] № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 216 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 216

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართულ. შესასვლელი რუსთაველის პროსპექტის № 18, ტელ. 11—79

[illegible]

ნადია (ნადეჟდა) იოსებ დონჯაშვილის ასულ პატრიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. [illegible] დილის 10 [illegible] ლავანში დილის 12 საათზე. 3092—1—1

გულდამწვარი მეუღლე მინადორა კონსტანტინეს ასული, შვილები ნადია და ვლადიმერ და ძმა არკადი ავალიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ასლან (ლუკა) მოსეს ძე ავალიანის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კალოუბნის ეკლესიაში კვირას 26 ენკენისთვეს. 3987—1—1.

დ. ლაგოდეხის ქართულ სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და თანამშრომლებს, რომ ხუთშაბათს 30 სექტემბერს, დ. ლაგოდეხის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო წრის დამაარსებელთაგანის, გამგეობის წევრის და ნიჭიერი სცენის მოყვარის, ლაგოდეხის გიმნაზიის მასწავლებლის ძვირფას და დაუვიწყარ

ნადია იოსებ დონჯაშვილის ასულის-პეტრიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. წირვა მოხდება დილის 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე იმავ ეკლესიის გალავანში. 3092—1—1.

პროვიზორი ბაგრატი სოლომონის ძე მეუღლით მარიამით და შვილებით დეზი და ნელით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედის, მეორის დედამთილის და უკანასკნელთა ბებიის

ეკატერინე იოსების ასულის ანტონოვისას.

პანაშვიდი, პარასკევს საღამოს 6—ს. გამოსვენება, შაბათს, 25 სექტემბერს, დილის 10 ს ბინიდან, ბებუთოვის ქ. № 34 ჯიგრაშენის ეკლესიაში (სომხის ბაზარი) დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. 3093—1—1.

შაბათს, სექტემბრის 25-ს

მეორე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული თეატრი)

რუსთაველის პროსპექტი № 21 დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის ბუფეტზე და საკანდიტერო

იჯარით გასაცემათ

1920—21 წლის სეზონისათვის. იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში ყოველ დღე დილის 10 საათიდან 12 საათამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ ამ თავითვე უნდა წარმოდგენილი იქნეს ბეე. (6. 4—3)

ხაშურში 16 ენკენისთვეს, ქიათურაში 17 და 18, ქუთაისში 19, ხონში 20, სამტრედიაში 21, ახალ-სენაკში 22, ფოთში 23 და ოზურგეთში 25 სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლ. განყოფილების ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება

გრანდიოზული საღამო-სეირნობა

შემდეგი პროგრამით:

I. **მოხსენება: სახალხო გვარდიის მიზნები კულტურა-განათლების სფეროში.**

II. **თავისუფლების გარიჟრაჟზე.**

დრამა ერთ სურათად ნ. გერგესელისა.

მ ა თ ი კ ო

მე-4 მოქმ. კომედია ა. ცაგარლისა.

წარმოდგენები დაიდგმის საგანგებო ბათალიონის კულტ. განმან. სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მიერ. მონაწილეობენ ქ-ნნი: ნინონი, ქართველიშვილი, მინდელი: ბ-ნნი: აბდუშელი, გომართელი, კრაველიშვილი, მინდიაშვილი, ლეკიშვილი, ილიკო ჯუღელი და სხვ.

III. **გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე** და სხვა მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწერებს.

საღამოზე: აუქციონი, პტი-შვო, ფოსტა, ყვავილთა შეჯიბრება, კრუშონი, აზიური კიოსკი, აღმოსავლეთის კუთხე, დიდი ვახშამი გათენებამდე, ცეკვა-თამაში და სხვ. დაუკრავს სახალხო გვარდიის ორკესტრი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. 6. 5—5)

განცხადება

ქუთაისის სამეურნეო სკოლა გადაკეთებულია საშუალო სამეურნეო სასწავლებლათ ოთხ წლიანი კურსით; პირველ კლასში მიიღებიან ორივე სქესის პირნი მოწმობით უმაღლეს დაწყებითი შკოლაში ან ოთხ კლასიან პროგიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი 15—18 წლისანი; ვისაც ზემოაღნიშნული მოწმობა არ აქვთ მათთვის დანიშნული იქნება გამოცდები. მსურველები უნდა გამოცხადდენ ამა წლის 28 ენკენისთვეს. სწავლა დაიწყება პირველ ოქტომბერს.

(6. 3—1.) სასწავლებლის მმართველი **ალ. შარაშიძე.**

დ. თურდოსპირელი.

ამირანის ცეცხლი

(მოთხრობა.)

5—1 ფასი 5 თუმანი.

თფილისის სამაზრო ერობა

იწვევს გამგეებს მაღალ-დაწყებითი სკოლებისას ჯამაგირი—8050 მან. მასწავლებლებს პირ.დაწყებითი დაბალ სასწავლებლებისა ჯამაგირი 58000 მ. ინსტრუქტორებს სისკოლო ჯამაგირით 8050 მან. გალობის 6850 მან. და ტანვარჯიშობის 6850 მანეთი. (3086—1—1)

შაბათს, ენკენისთვის 25-ს, გამოვა

„ეშმაკის მათრახის“

მორიგი სადელეგაციო ნომერი

შინაარსი: 1. მისალმება; 2. დელეგატები; 3. დელეგაცია საქართველოში; ა) გემზე; ბ) ბათომში; გ) თფილისისაკენ; დ) თფილისის სადგურზე; ე) სადგურის სასტუმრო ოთახში; ვ) დამფუძნებელ კრებაში; ზ) სახალხო სახლში; 4. შეგნებულის ლექსები; 5. ინტერვიუ ტომ შოუსთან; 6. კაუცკი და ვანდერველდე—ტოტომიანცისა. სტუმრების სურათები შარჟები და კარიკატურები. ფასი მხოლოდ 50 მანეთი. გამყიდველებმა ჟურნალი უნდა მოიკითხონ „ერთობის“ ექსპედიციაში.

კავკასიის სატრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოება

წესდება დამტკიც. მთავრობის მიერ 1918 წ.

ძირითადი კაპიტალი და საგრძნობი ნაწილი პრემიებისა ინახება თფილისის ბანკებში

საბჭო და გამგეობა საზოგადოებისა იმყოფება თფილისში

საზოგადოებამ შეკრა პირობა პირველ ხარისხოვან ინგლისურ გადამზღვევ საზოგადოებასთან.

ამ პირობით კავკასიის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოებამ 1 ლი აგვისტოდან 1920 წლისა საგრძნობი ნაწილი თავის ცეცხლისაგან დაზღვეულ ქონებისა გადააპირა **ინგლისურ საზოგადოებას.**

ლიკვიდაცია და ფულის მიცემა ცეცხლისაგან მიყენებულ ზარალში შეუჩერებლივ სწარმოებს.

მიღება დაზღვევისა:

1. ცეცხლისაგან მოძრავ, უძრავ ქონებათა ფაბრიკებისა, ქარხნებისა, საქონლებისა.
2. საზღვაო, ხმელეთის და მდინარის ტრასპორტებისა.

მიიღება გამგეობაში ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3089—1—1) სოლოლაკის ქუჩა № 8 ტელეფონი № 11.

კიდევ რუსეთთან ურთიერთობაზე

ევროპასთან კავშირის დაჭერა და მასთან ეკონომიური ურთიერთობის უშუალოთ გაბმა ერთი უძლიერესი მისწრაფებათაგანია საქართველოსი. დამოუკიდებელ სახელმწიფოს არც შეუძლია უამისოთ არსებობა. მით უმეტეს, როდესაც ამაზეა სხვათა შორის დამოკიდებული განხორციელება ერთ უდიდესი მისწრაფების—ევროპის კულტურის შეთვისების და ეკონომიური წარმატების.

მაგრამ მარტო და მხოლოდ ევროპით შემოზღუდვა ჩვენი სამოქმედო ასპარეზის დიდი შეცდომა იქნებოდა. ახლო მეზობლებს ამ მიზნით მიტოვება—დაუშვებელია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპაში ჩვენ გვაქვს საქმე ჩვენთვის ახალ ბაზართან, რომელსაც განაგებენ მსოფლიო ბატონობის და კოლონიალურ პოლიტიკის შეჩვეული იმპერიალისტური წრეები. მეზობელ სახელმწიფოებში კი ჩვენ წინ არის ნაცნობი ბაზარი, ნაცნობი ადგილები, და ხალხი, რომელსაც ჩვენ უფრო ახლოს ვიცნობთ.

ცხადია ასეთ პირობებში ჩვენთვის რუსეთის ბაზარზე გასვლაც ერთი უახლოესი მიზანი უნდა იყოს.

მაგრამ აქ იბადება ახალი პრობლემა. რუსეთი თავისუფალ ვაჭრობის უარმყოფელი ქვეყანაა; იქ კერძო ვაჭრობა გაუქმებულია, თუ ყველგან არა, უმთავრეს დარგებში მაინც.

მართალია ფაქტიურათ მაინც წარმოებს „მეშოჩნიკები“ და სპეკულიანტები, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, არა ლეგალურათ, ან ნახევარ-ლეგალურათ. ოფიციალურათ კი ერთათ ერთი პატრონი რუსეთის მთელი ქონების, რომელიც კიდევ შერჩენია, და რომლის შექმნა დღევანდელი პირობებში შეუძლია მას, საბჭოთა მთავრობა და მისი ადგილობრივი ორგანოებია.

მაშასადამე რუსეთს, ისე როგორც მის ამყოლ ადერბეიჯანს, ჩვენ ევროპის საზომით ვერ მივუდგებით. აქ ევროპის კაპიტალისტური საშუალებებით და წესით ვერ გავაჩაღებთ აღებ-მიცემობას. ამისთვის საჭიროა აქ სულ სხვა გზით მივუდგეთ საქმეს. ევროპის დღევანდელ მესვეურთ არ შეუძლია კოლექტიური სავაჭრო ურთიერთობის გაჩაღება. ამიტომ იგი მტრულათ უყურებს თვით საბჭოთა მთავრობას და მის აუცილებლათ ჩამოგდებას ცდილობს, რომ ამით კერძო ვაჭრობის პრინციპს მისცეს კვლავ ბატონობა.

ჩვენთვის ეს უკანასკნელი სრულიადაც საჭირო და სავალდებულო არაა.

საქართველოს მთავრობა დიდი ხანია ცდილობს ევროპასთან ურთიერთობაშიაც გამოვიდეს, როგორც კოლექტიური მყიდველი და გამყიდველი, თვით სახელმწიფოს სახელით. ამას ემსახურება მონოპოლია საგარეო ვაჭრობისა მთავარ საექსპორტო საქონელზე.

და ეს იყო დღემდე უძლიერესი საააგიტაციო მასალა ჩვენს წინააღმდეგ ევროპის ბირჟაზე. ამას გვიწუნებდენ და ამისთვის გვითვალისწუნებდენ.

დღეს ეს სისტემა ადვილათ შეიძლება მივუყენოთ რუსეთთან ურთიერთობას. აქ ორივე მხრით გამოვა არა ანარქიული კერძო მწარმოებელი, არამედ შეკავშირებული ძალა—სახელმწიფო, როგორც კოლექტიური ვაჭარი და მწარმოებელი.

საქონელში—საქონელი, ღირებულებაში-ღირებულება—ასეთი უნდა იქნეს პრინციპი ამ ურთიერთობის.

აქ ადგილი არ უნდა დაურჩეს ერთი ან მეორე მხარის ექსპლოატაციას და დაჩაგვრას. თანასწორი ღირებულებანი გაიცვლებიან ორივე მხარის სასარგებლოთ.

ჩვენ მოგვეპოვება ისეთი მასალა, რომელიც ესაჭიროება რუსეთის ხალხს, ეს მასალა ან შინ მოპოვებულია, ან უცხოეთიდან შემოტანილი. რუსეთსაც შეუძლია მოგვაწოდოს ზოგი რამ, მიუხედავათ ეკონომიური დაქვეითებისა; ანდა [illegible] განსხვავება ნაღდი ღირებულებითი ოქროთი. ამ რიგათ ეკონომიურ სფეროში არაფერი არ შეუშლის ხელს ერთმანეთის სასარგებლო მუშაობას, თუ პოლიტიკური ღვარძლიანობა ზოგიერთი გაზრახებული მტერმოყვრისა არ გადაელობა წინ ამ ერთ მცირე, მაგრამ სასურველ ნაკლს რუსეთისა და ჩვენი ცხოვრებისთვის.

ეკონომიურ ურთიერთობას, ჩვენ ვფიქრობთ, სხვა მხრივაც ექნება მნიშვნელობა. იგი გაალხობს ამ პოლიტიკური უნდობლობის ცივ ყინულს. და ურთიერთის ნდობის პირველ სხივს გამოაკრთობს ამ ორ მეზობელში.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა, დარწმუნებული ვართ, ასეთ ეკონომიურ ურთიერთობის უარს ვერ იტყვის. დემოკრატიის სიტყვა—მისთვის კანონია. ვერც რაიმე გარეშე მიზეზებით გადავსდებთ მის განხორციელებას. ეს საქმე საშურია. საქმე დამოკიდებულია თვით საბჭოთა მთავრობის სურვილზე. მის სიტყვას აქვს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა. და ჩვენ ვუცდით ამ სიტყვას.

შინაური საქმეები

VI.

მთავრობის თავმჯდომარის იგივე ბრძანება ეხება მოსამსახურეთა შტატების შემოკლებას. უეჭველია, ზოგიერთ დაწესებულებაში საჭირო იქნება შტატების შემოკლება, მარა, ჩვენის აზრით, თავი და თავია მოსამსახურეთა ჯამაგირების მოწესრიგება.

ჯამაგირები დღევანდელ სიძვირესთან შედარებით მეტად მცირეა. მიზეზი ამისა არის რესპუბლიკის საერთო ეკონომიური მდგომარეობა, ამიტომ მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოკეთება ერთავად დამოკიდებულია ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ეს კი ითხოვს უდიდეს შრომას და ენერგიას. როგორც პოლიტიკური ბრძოლა ითხოვდა მსხვერპლს—ისე, კიდევ უფრო მეტს ითხოვს ეკონომიური ბრძოლა. მარა ეს ბრძოლა და შევიწროება არ უნდა იყოს მხოლოდ ნაწილის ხვედრი. ამ მხრით დიდ არევ-დარევას და უსწორ-მასწორობას აქვს ადგილი. როდესაც სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელე-მოსამსახურენი განიცდიან დიდ გაჭირვებას ზოგიერთი საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი კი საერთოდ არავითარ ნორმებს არ ემორჩილებიან ჯამაგირების საკითხში, რითაც ქმნიან ისეთ პირობებს, როცა ხშირად შეუძლებელი ხდება საჭირო მოხელის შოვა. ეს კიდევ ცოტაა. კერძო დაწესებულებათა ჯამაგირები თავისკენ იზიდავენ მცოდნე და გამოცდილ პირებს და ასე სახელმწიფო დაწესებულებებს დღე-დღეობით აცლიან საჭირო პირებს და მით დაწესებულებათა მუშაობას ნაყოფიერებას უკარგავენ. საკმარისია გაეცნოთ კერძო და სახელმწიფო ერთი და იმავე თანამდებობის ჯამაგირების განსხვავებას, რომ თქვენთვის აშკარა გახდეს ასეთი წესის დაუშვებლობა.

რესპუბლიკის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს ერთნაირ სავალდებულო წესის გავრცელებას, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებანი. თუ კი მუშა-მოსამსახურეები ხმა ამოუღებლივ ემორჩილებიან სატარიფო პალატას, რატომ არ შეიძლება, რომ ამავე პალატას დაემორჩილოს კერძო დაწესებულებანაც, მით უმეტეს მაშინ, როცა მათ ჯამაგირებს ასეთი არევ დარევა შეაქვს და ასეთი საზარალო სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობისათვის! შექმნილი მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს ყველა დაწესებულებებზე საერთო წესის გავრცელებას და მის დამორჩილებას.

ჯამაგირის საკითხთან მჭიდროთ დაკავშირებულია ჯამაგირი სპეციალისტებისა. სადავო არაა, რომ სპეციალისტები უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი. უნდა დავრწმუნდეთ, რომ სპეციალისტების გარეშე რესპუბლიკის აშენება-აღორძინება თუ შეუძლებელი არა—მეტად გასაჭირი იქნება. ეს ახლა ბოლშევიკებმაც კი შეიგნეს, იმ ბოლშევიკებმა, რომლებიც მთელი წლების განმავლობაში მუსრს ავლებდნენ ყველა დარგის სპეციალისტებს. ახლა იგრძნეს მათი საჭიროება და ყოველი ღონეს ხმარობენ მათ სამსახურში ჩასაბმელად. ჩვენში ამ [illegible] არ ქონია ადგილი, მარა ჯამაგირების სიმცირის გამო ბევრი მათგანი ტოვებს სახელმწიფო სამსახურს და სხვაგან ეძებენ ცხოვრების სახსარს. ეს კი დიდათ მავნებელია ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის და ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

სპეციალისტების გამრავლება და მათი უზრუნველყოფა, ჯამაგირების საერთო წესის გავრცელება ყველა კერძო დაწესებულებებზე—აი რას უნდა მიექცეს ყურადღება და უნდა მიექცეს რაც შეიძლება დაჩქარებით.

განი.

ეკონომიურ დამოუკიდებლობისთვის

ცხოვრების სიძვირე საშინელი სისწრაფით იზრდება. თუ ასე ვიარეთ, ჩქარა მივაღწევთ საბჭოთა რუსეთისა და ყირიმის ფანტასტიურ ფასებს.

ადამიანის აზროვნება ყოველთვის უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ცხოვრება. ჩვეულებრივ ძველი, ნაცადი საშვალებებით ცდილობს ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; მხოლოდ მწვავე კრიზისი და გაჭირვება აიძულებს მას ახალი გაუტკეპნელი გზები მონახოს.

ამ დღეებში ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ველაპარაკე ერთ ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც ორი თუ სამი დიდი ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში. მე ვკითხე, რად არ მოაწყობენ ერობები და ქალაქის თვითმართველობები თუნდაც პრიმიტიულ საქსოვ სახელოსნოებს. ზოგიერთი პროვინციის შინამრეწველობაში ჯერ კიდევ სავსებით არ გამქრალა ძველებური ჯარა და მჯქო. სანამ გაუმჯობესებულ საფეიქრო ქარხნებს მოვაწყობდეთ, შეგვიძლია ხალხს ტლანქი ოსური შალი და გურული დარაია მაინც მივაწოდოთ. ეს ნაწილობრივ დააკმაყოფილებდა მასიურ მოთხოვნილებას და რამდენიმეთ უცხოეთის მრეწველობის დამოკიდებულებისაგან გაგვანთავისუფლებდა. ეს კი თავის მხრივ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა ჩვენი ბონების კურსზე.

ჩემი მოსაუბრის პასუხმა გამაოცა. მან მითხრა, რომ ერობებსა და ქალაქთა თვითმართველობებისთვის აზრი არ აქვს ასეთი უმნიშვნელო მიზნების დასმას: რუსეთ-პოლონეთის ომი ალბათ მალე დასრულდება, ქვეყანა დაწყნარდება და ძველი ეკონომიური ურთიერთობა აღდგება. საერთაშორისო შრომის განაწილების პრინციპი ისევ ძალაში შევა, როგორც ომის და რევოლიუციის წინათ იყო. ჩვენ ევროპიელებს ნედლ მასალას მივაწვდით: მატყლს, პარკს, სიმინდს, მარგანეცს, სამაგიეროთ იაფ-ფასიან და ლაზათიან ქსოვილებსა და ფეხსაცმელებს მივიღებთ და სხ.

თუ ასე აზროვნობს ჭკვიანი ადამიანი, როგორ უნდა აზროვნობდეს ინერციული მასსა? თუ დღეს ეკონომიური კრიზისის გამო ასე ვიტანჯებით, თუ ხვალ შეიძლება უარესი დღეები მოგველის, ეს სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ ჩვენი აზროვნება მაინცა და მაინც არ გასცილებია ტრადიციული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოების პრინციპებს.

ცხოვრებაში კი ისეთი რადიკალური ცვლილება ხდება, რომ მისი მსგავსი კაცობრიობის ისტორიას შეიძლება არც ახსოვდეს ხალხთა გადასახლების შემდეგ. ასეთ ცვლილების შემდეგ შარლ ჟიდის და ჯევონსის სიბრძნე ველარ გვიშველის. არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რამდენათ მოსალოდნელია ახლო მომავალში რევოლიუციის დატრიალება აღმოსავლეთ ევროპაში. ეს ზოგადი პოლიტიკის საკამათო საგანია. მაგრამ თუნდაც ანტანტამ ბოლშევიკური რუსეთი დაამარცხოს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ევროპაში უცვლელად აღორძინდება ეკონომიური მდგომარეობა [illegible]. რევოლიუცია უფრო ეკონომიური კრიზისის შედეგია, ვიდრე მიზეზი. სანამ ეკონომიური კრიზისი არ დამცხრალა, რევოლიუციური ცეცხლის მფრქვეველი მთა სხვა ადგილას ამოხეთქს, თუ მოსკოვში ჩაქრა.

მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს საფუძვლად სრულიად მარტივი ფაქტი უძევს.

დიდმა ომმა დაარღვია ნორმალური პროპორცია მოსახმარ საგნებსა და მომწარმოებელთ შორის. უბრალოდ რომ ვსთქვათ, მჭამელი დღეს მეტია, ვიდრე საჭმელი. კომუნისტური რუსეთი და ბურჟუაზიული ევროპა სხვადასხვა გზით ცდილობენ დარღვეული პროპორციის აღდგენას. რუსეთის წითელი არმია ქალაქს ან [illegible] აძევებს არა მწარმოებელ ელემენტებს, ევროპის ბურჟუაზია ცდილობს ჭრილობები დაუშუშოს დასახიჩრებულ მუშებს და დაზიანებული ქარხნები და მანქანები შეასწოროს.

ცხადია რომ ასეთ პირობებში არც რუსეთსა და არც ევროპას ჩვენთვის არსებითი დახმარების გაწევა არ შეუძლია. ჯერ ორ მოპირდაპირე პრინციპს შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს, შემდეგ გამარჯვებულ ეკონომიურ პოლიტიკის პრინციპს [illegible] წლების, შეიძლება თაობების შრომა დასჭირდეს, სანამ წარმოებას ადამიანთა რიცხვს შეუფარდებდეს.

გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ლონდონის ბაზარს ჩვენი თამბაქო და მატყლი აგრე რიგათ არ ესაჭიროება, ამერიკიდან უფრო სურნელოვან თამბაქოს ღებულობს და ავსტრალიიდან უფრო დახვეწილ მატყლს. მეორე მხრივ ინგლისს არ შეუძლია იაფ-ფასიანი ტანისამოსი და ფეხსაცმელები მოგვაწოდოს, რადგან შრომის ინტენსივობა დაეცა მუშათა კლასის დაღლილობის გამო, ხოლო წარმოებისა და გადაზიდვის ხარჯები გადიდდა. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ჩვენი ნედლი მასალა, რამდენათაც შესაძლებელია, ჩვენივე წარმოების შექმნას უნდა მოვანდომოთ და ეკონომიური დელეგაციები ევროპაში გავაგზავნოთ არა სესხის აღებათ ან მატყლის გადასაცვლელათ შევიოტში, არამედ სამეურნეო და სამრეწველო იარაღების შესაძენათ.

ადამიანს ან სახელმწიფოს, რომელიც მეტს ხარჯავს, ვიდრე აწარმოებს, სესხს არავინ მისცემს. დღეს ჩვენ არა-საიმედო მსესხებელს წარმოვადგენთ, ჩვენი პასივი სჭარბობს ჩვენს აქტივს. მაგრამ თუნდაც ევროპამ მილიონები გვანდოს, ამით ჩვენი მდგომარეობა არ გამოსწორდება, თუ ეს მილიონები სხვა რაიმე სახით წამოვიღეთ, გარდა საწარმოვო იარაღებისა. ფული თავის-თავად კაპიტალს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით დღევანდელი ფული, რომელსაც განადგურებული სახელმწიფოები ბეჭდავენ. კაპიტალი დაგროვილი ზედმეტი შრომაა, ზედმეტი შრომის გასესხება კი ევროპას არ შეუძლია, რადგან თვითონ არ გააჩნია.

პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ კმარა, ეკონომიური დამოუკიდებლობაც უნდა მოვიპოვოთ. რასაკვირველია, სრულიად განკერძოებულ სახელმწიფოს მეურნეობას ვერ შევქმნით, სრული განკერძოება საშუალო საუკუნეებშიც არ ყოფილა. მაგრამ უაზრობაა იმის ლოდინი, რომ ჩვენ ნავთსადგურებს უცხო გემი მოადგება და ყოველგვარ სიკეთეს მოგვიტანს. სხვა არ იყოს რა, არც ერთი გემი დაზღვეული არ არის სტიქიონისგან.

უმჯობესია ჩვენს საკუთარს კუნძულზე უფრო მარტივად და უფრო უზრუნველად მოვეწყოთ.

X.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

კახეთში

21 სექტემბერი.

დილის ცხრის ნახევარზე დელეგაციის საგანგებო მატარებელი თფილისიდან კახეთისაკენ გავიდა. სტუმრები წინასწარ გრძნობენ, რომ ასეთ მზიან დღეში სადგურებზე დახვდებათ ხალხი და ამის მოლოდინში ფანჯრებიდან გაჰყურებენ მიდამოებს. თფილისს არც გავცდენივართ, რომ ნავთლუღის სადგურზე გამოჩნდა დიდძალი ხალხი წითელი დროშებით. სადგური მორთულია ყვავილებით და წარწერებით, ადგილობრივი გვარდია ჩამწკრივებულა ბაქანზე, ხოლო პროფესიონალური კავშირები, რკინის გზის მოსამსახურენი და ხალხი დროშების ირგვლივ შეჯგუფებულან და სტუმრების გამოჩენაზე გაისმის „ვაშა“. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს და მუ-

ამხ. ინგელსი

მიტინგზე დამფუძნებელი კრების წინ 15 სექტემბერს.

დღეს

იტალიის მთავრობა ამერიკისადმი მიმართულ ნოტაში აღნიშნავს, რომ მას არ შეუძლია არ აღიაროს საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა.

21 სექტემბერს რიგაში დაიწყო საზავო მოლაპარაკება პოლონეთსა და რუსეთს შორის.

გერმანულ ცნობით ანატოლიაში საბჭოთა ძალა-უფლება დამყარდა. საბჭოთა რუსეთი ოსმალეთის ნაციონა-ლისტებს ფულსა და სამხედრო მასალას შეჰპირდა.

საბერძნეთის მხრის ცნობით ბერძენთა ჯარის წინსვლა მცირე აზიაში კარგათ ვითარდება.

ფედერატიულმა საბჭომ აკრძალა შვეიცარიით სამხედრო მასალის გატანა.

საფრანგეთის პრეზიდენტათ არჩეულ იქნა მილიერანი.

შათა, გვარდიის და ხალხის სახელით ესალმებიან სტუმრებს. საპასუხო სიტყვას ამბობს ფრანგი მუშა ამხ. ინგელსი. მან სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ ვნახეთ აქ ხალხი, რომელსაც სოციალიზმი თავის რწმენათ გაუხდია და ამისთვისაც არის, რომ ყველა ჩემ მიერ გაგონილ „ინტერნაციონალზე" კარგათ უკრავენ ...

... ციალიზმში ჩვენი მშრომელი ხალხი შემოიტანს თავის ხვედრ წვლილსა". მისალმების საპასუხოთ სიტყვას ამბობს ამხ. მაკდონალდი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „ჩვენ წავიღებთ თქვენზე მშვენიერ ამბებს ევროპაში და იქ, ქვეყნის წინაშე, პარლამენტში ვიტყვით სიმართლეს, მოვითხოვთ იმას, რაც უზ...

... ზუნგი: დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ, იმისთვის, რომ განხორციელდეს სოციალიზმი. საჭიროა უმრავლესობა იყვეს სოციალისტური და ემსახურებოდეს მთელი ქვეყნის სოციალისტურ მოძრაობას და ებრძოდეს ომს. ...

შემდეგი სთქვა: საფრანგეთის ოფიციალური სოციალისტური პარტია მართალია ბოლშევიზმისაკენ გადაიხარა, მაგრამ საფრანგეთის მუშები პარტიას ბოლშევიზმისაკენ არ მიყვებიან. ამას ცხადათ მოწმობს შრომის გენერალური კონფედერაციის ტაქტიკა და პოლიტიკა. ...

... კიდევ იგრიალა ტაშმა და „ვაშამ".

საუბარი რენოდელთან

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სოციალისტთა დელეგაციის წევრმა რენოდელმა საფრანგეთის სოციალისტთა შორის არსებულ განწყობილების შესახებ ...

... დამოუკიდებლობის აღიარებას და მის ბოლშევიკებისაგან ხელშეუხებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ფრანგი სოციალისტები რუსეთ პოლონეთის საქმეთა ჩარევის საკითხში შეცვლიან თავის პოლიტიკას.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

სექტემბრის 23.

გერმანული ცნობები

ზემო სილეზიაში.

კათოლიკეთა სახალხო პარტიამ ზემო სილეზიაში გამოუშვა განცხადება, რომელშიაც იგი ითხოვს სწორუფლებიანობას პოლონელებსა და გერმანელებს მცხოვრებთა შორის ყველა ოლქებში. ფიქრობენ, რომ მოკავშირეთა კომისია შეასრულებს თავის მოვალეობას და ერთნაირად დაიცავს ზემო სილეზიის მცხოვრებლებს ძალ-მომრეობისაგან და იზრუნებს წესიერებაზე და მშვიდობია...

... გავლის დროს ხალხი გაზეთის გამომცემლებს კიცხავდა. სხვა ინციდენტს არ ქონია ადგილი, ქუჩებს ჯარის საქმაო რიცხვი იცავდა.

ებრაელების შესახებ.

ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება: პოლონეთში მცხოვრები ებრაელები პოლონეთის საშინაოების თავიდან ასაცილებლად საზღვრებისაკენ გარბიან.

ვილნო. ებრაელთა საზოგადოებას მოლაპარაკება აქვს მთავრობასთან ებრაელების სახელმწიფო სამსახურში მიღების შესახებ. მთავრობის ზოგიერთ მოხელეებმა ებრაელები სამსახურში მი...

ლიონის ცნობები

თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა

(რუსეთის გაზეთები)

რუსეთის დეპ. სააგენტო

რეობა არ შეცვლილა. ტარნოპოლის რაიონში ქალ. ვოლოჩისკთან ბრძოლა სწარმოებს. ყირიმის მხარეში ჩვენი ჯარი ეკატერინოსლავის რაიონში იბრძვის.

კომუნისტების კონფერენცია.

მოსკოვი, სექტ. 23. სექტემბრის 20 გაიხსნა სრულიად მთელი რუსეთის კომუნისტთა პარტიის კონფერენცია. პრეზიდიუმში აირჩიეს: ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი და კალინინი. კონფერენციაზე სიტყვა სთქვა ვარშავიდან ახლად დაბრუნებულმა პოლონელმა კომუნისტმა, შემდეგ ლენინმა და კამენევმა მოხსენება გააკეთეს ლონდონში, პოლონეთში და ფრონტზე მუშების შესახებ.

სამშვიდობო მოლაპარაკება პოლონეთთან.

სექტემბრის 21 გაიხსნა კონფერენციის პირველი სხდომა. ლატვიის მინისტრმა სხდომის გახსნის წინ სიტყვა წარმოსთქვა. რუსეთ-უკრაინის დელეგაციის სახელით იოფემ უპასუხა: სადაც განაცხადა, რომ ის დარწმუნდა ლატვიის მშვიდობიანობის მოყვარეობისა და ზავის მალე დამყარების სურვილში. ზავი უნდა იყოს სამართლიანი, დემოკრატიული, მისაღები ყველასათვის, მან არ უნდა იცოდეს გამარჯვებული მხარე და ის უნდა იყოს შეთანხმებაზე და არა ძალმომრეობაზე დამყარებული. დამოვსკი კონფერენციის სხდომას გახსნილად აცხადებს და წინადადებას იძლევა მხარეთა წარმომადგენლებმა თავისი რწმუნებულებმა ერთმანეთს ჩააბარონ. სხდომა მცირე ხნით შესწყვიტეს და ერთმანეთის რწმუნებულება კანონიერათ იცნეს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

23 სექტემბერი.

რუსეთი და იტალია.

ტრიესტი. სექ. 10. გერმანიის გაზეთის ცნობით: რუსეთიდან პურითა და რკინეულობით დატვირთული გემების ახალი პარტია მოვიდა. მოელიან ხე-ტყისა და ნავთის ჩამოტანილ საქონლის ღირებულება 50 მილიონ ლირას აღემატება.

იტალიის ნოტა.

რომი. სექტ. 11. იტალიის პრესის ცნობით იტალიის მთავრობამ ამერიკის ნოტის საპასუხო ნოტაში აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია არ აღიაროს საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა.

საბჭოთა მთავრობა ანატოლიაში.

ბერლინი. სექ. 13. გერმანულ გაზეთის ცნობით ანატოლიაში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, სამოქალაქო და სამხედრო წყობილება შემუშავებულია მოსკოვის მთავრობისა და ოსმალეთის ნაციონალისტების. შეთანხმების თანახმად, საბჭოთა რუსეთი ნაციონალისტებს ფულსა და სამხედრო მასალას შეჰპირდა.

ბოლშევიკების ოქრო.

პარიზი. სექ. 16. „ტანის“ ცნობით ვერდში (ჩრდილოეთ-ნორვეგია) კონფისკაცია უყვეს რუსეთის რამოდენიმე ყუთს, რომელშიც სულ იყო 5 და 10 მანეთიანი ოქროს ფულით, ყუთები წონით 60 კილო იყო. ამასთანავე დაიჭირეს ბოლშევიკური დიდძალი საგიტაციო ლიტერატურა. ფული და ლიტერატურა ბოლშევიკებს ხომალდით მოიტანეს.

ბოლშევიკების დაპატიმრება.

მადრიდი. ბარცელონიდან მოსული ცნობით, მრავალი ადგილობრივი რუსი ბოლშევიკი დააპატიმრეს.

პრეზიდენტის არჩევნები.

ვაშინგტონი. 17 სექ. პრეზიდენტის არჩევნები გაცხარებული ტემპით მიმდინარეობს. უმთავრესი ბრძოლა დემოკრატებსა და რესპუბლიკანელებს შორის სწარმოებს. დემოკრატების კანდიდატი კოქსი ბრალს სდებს რესპუბლიკელებს იმაში, რომ მათ დიდი თანხა გაიღეს ამომრჩეველთა მოსასყიდათო.

პროლეტარიატის დიქტატურა თუ ოლიგარხია.

ბერლინი, 17 სექტ. „რეიხსტაგი“ აქვეყნებს სინდიკალისტების ლიდერის კრისტენის წერილს, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ ვინიცობაა გერმ. დამოუკიდებლებმა მიიღეს ბოლშევიკების პროგრამა, დამოუკიდებლები ამით ნამდვილ თვითმკვლელობას ჩაიდენენ. კრისტენსი ამბობს: რუსეთს განაგებს პროლეტარიატი კი არა, არამედ ოლიგარხია პროლეტარიატზე.

სამხედრო მასალის გატანის აკრძალვა.

ბერნი. 17 სექტ. ფედერალურმა საბჭომ აკრძალა შვეიცარიით სამხედრო მასალის გადატანა.

ფარული ორგანიზაცია

ელიზავეტოგრადი 17 სექტ. ჩ. კომ. აღმოაჩინა თეთრგვარდიელთა ფარული ორგანიზაცია, რომლის მეთაურად ვრანგელის აგენტები იყვნენ. ორგანიზაცია მაზრაში შეიარაღებულ გამოსვლებს აწყობდა. ორგანიზაციის წევრებს ჩხრეკვის დროს აღმოაჩნდათ იარაღი, საბუთები, მოქმედების გეგმები და სხვა. ყველა აქტიური მონაწილე რიცხვით 30 კაცი დაპატიმრებულია.

ადესა, 17 სექ. თეთრგვარდიელთა ორგანიზაციის აღმოჩენასთან ერთად აღმოჩენილ იქნა მრავალი სხვა ძვირფასეულობა 300,000 მილიონ მანეთად ღირებული.

— ვარშავის გაზეთები ოფიციალურად იუწყებიან: რიგაში საზავო მოლაპარაკება ხანგრძლივი არ იქნება და საბოლოოდ დასრულდებაო.

საბერძნეთის მისიის ცნობები

მცირე აზიაში ბერძენთა ჯარის წინსვლა კარგათ ვითარდება. თანახმად უკანასკნელი ცნობისა ბერძნების მოწინავე ჯარი ასიუკარახისარისაგან 40 კილომეტრზე და ქუტიაიდან 50 კილომ. იმყოფება. ის ჯარი, რომელმაც სინავი დაიკავა, ოლიმპის მიმართულებით წინ მიიწევს. დაჭერილია მურატოდაგი. ცნობა ქემალისტების მიერ ქუტიაიდის ევაკუაციის შესახებ მართლდება.

სერბიის რეგენტი და პრემიერი ამ დღეებში ბუხარესტში მიემგზავრებიან. ისინი იქ ვენიზელოსსა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის შეხვდებიან საბერძნეთისა და რუმინეთის მცირე ანტანტაში შესვლის საკითხის გამოსარკვევათ.

გაზ. „პ ტრისის“ პარიზის კორესპონდენტი იუწყება: საფრანგეთის მთავრობა ელინთა ჯარის ანატოლიაში წინსვლის წინააღმდეგობას არ გაუწევსო.

უნგრეთში 60 უნგრელ ბოლშევიკების გასამართლების გამო, ჩიჩერინმა დეპეშა აუწყა ბუდაპეშტს, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ დატყვევებულია მეტად 1000 უნგრელი ოფიცერი, რომლებიც ისე დაისჯებიან, როგორც უნგრელ ბოლშევიკებს დასჯიანო.

ბრიტანეთის მთავრობამ რუსეთის პროფ. კავშირთა წარმომადგენლებს ლონდონში მისვლის ნება დართო. დელეგაციაში შედიან: ლოზოვსკი, კისელიოვი, ლებედევი, ანცელოვიჩი, ანიონი და ლავრენტიევი.

ახალი ამბები

დღეს, ხვალამოს 6 ს. დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

ბრძოლა სპეკულიაციასთან. სასამართლოს პალატის პროკურორმა ტატიშვილმა საგანგებო რაზმის უფროსს აცნობა, რომ მისი დროებით წასვლის გამო, იმ პირთა საქმეების გარჩევა, რომელთაც სპეკულიაცია ბრალდებათ, თფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს სილავას ევალებაო.

კიროვის დეპეშა. მთავრობის თავმჯდომარემ კავკავიდან კიროვისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკავში ჩამოვედი 17 სექტემბერს საღამოს 5 საათზე სრულიად მშვიდობიანად. გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა ყურადღებისა და წინასწარი ზომების მიღებისათვის.

კლიმატიური სადგურები. თანახმად გზათა უფროსის მოხსენებისა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის საბჭომ დაადგინა: გადასდვას მიმდინარე 1920—1921 წლის ანგარიშში 3.396.971 მან. ქობულეთის და ბათომის კლიმატიურ სადგურების შესანახად.

შპალების დამზადება. გზათა უწყების დეპარტამენტს განზრახული აქვს საჩხერის რაიონში მოაწყოს შპალების დამზადების საქმე რკინის გზის საჭიროებისათვის.

მთავრობის თავმჯდომარესთან. სექტემბრის 22 მთავრობის თავმჯდომარემ დაღესტნის შეიხ-ულ ისლამის თანაშემწე და ბათომის ქალაქის თავი გ. ანგვარიძე მიიღო.

ერთდროული ქალ-ქის გადასახადი. ქალაქთა კავშირის აღმასრულებელ ბიუროს მთავარ კომიტეტს უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი ქალაქთა თვითმართველობის სასარგებლოდ ერთდროული გადასახადის დაწესების შესახებ. განზრახულია ამ საკითხის ერობათა კავშირთან შეთანხმებით განხილვა.

სახელმწიფო-სამეურნეო ანკეტა. სტატისტიკურმა კომიტეტმა დაამუშავა ცნობები გორისა, დუშეთის, ახალციხის, კოდჟორისა, რაჭისა, სიღნაღისა, თფილისისა და შორაპნის მაზრების სასოფლო-სამეურნეო მამულების შესახებ. ცნობებს, რომლებიც დანარჩენ მაზრებს ეხება, ამ დღეებში დაამუშავებს. სტატისტიკურ კომიტეტს განკარგულებაში მოსავლის სიმართლით საშუალოზე მეტია.

სახელმწიფო ოპერა. მალე დასრულდება მ. ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცბიერის“ ტექნიკური წანამზადის მზადება. კომპოზიტორმა კ. ფაცხვერაშვილმა ოპერა „დალალი“ ორკესტრირება დაასრულა. ოპერა მიღებულია საოპერო კომისიის მიერ. როლები შესწავლილია და უახლ. დაიწყება ორკესტრის რეპეტიციები. სექტემბრის 15 სახელმწიფო თეატრის ორკესტრი სრული შემადგენლობით რეპეტიციას შეუდგა.

რუსეთი და საქართველო. გზათა უწყების დეპარტამენტმა შეიმუშავა რუსეთისა და საქართველოს შორის სავაჭრო სახმელეთო ხელშეკრულების პროექტი. თანახმად პროექტისა რუსული გემები საქართველოში და საქართველოს გემები რუსეთში, მიუხედავათ იმისა, თუ საიდან მოდიოდნენ, ისეთივე უფლებით სარგებლობენ როგორც ადგილობრივი გემები. ხელშეკრულების პროექტი ექვს მუხლისაგან შესდგება. მე-6 მუხლის ძალით, თუ გემი დაიხრჩო, მას უნდა მიეშველოს ის სახელმწიფო, რომლის ნაპირებთანაც ის დაიხრჩობა. გადარჩენილი საქონელი, თუ იგი სახელმწიფოს შინაურ საჭიროებისათვის არაა დამზადებული, ყოველგვარ საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალია.

შენობათა აღდგენა გორში. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა, თანახმად გზათა უფროსის მოხსენებისა რკინის გზის საოპერაციო თანხიდან გორში მიწის ძვრისაგან დანგრეულ შენობების აღსადგენად 31 მილიონი მ. გადასდო.

სატარიფო პალატის სხდომაზე სატარიფო პალატის თავმჯდომარემ განაცხადა: პრესაში დაბეჭდილი იყო ფოთის მცირეთავ მუშებისა და ექსპორტიორების შესახებ ისეთი ცნობა, რომელიც სიმართლეს არ შეეფერებოდაო. ეს თათბირი მოწვეული იყო სატარიფო პალატის პრეზიდიუმის ინიციატივით, მის მიერ შემუშავებულ შრომის ხელფასზე პროტესტის განცხადების გამო. თათბირი ფოთში კი არა, თფილისში შესდგა და შეთანხმებით დასრულდაო.

ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო: 1) თ. ჟუმბურიძეს „ახალი ისტორია“ წიგნს ტექსტში დართული აქვს ისტორიული ქარტები, შეიცავს 210 გვერდს და ღირს 150 მან, 2) პროფ. ი. პობედინსკის „მეანეობის მოკლე სახელმძღვანელო“, თარგმანი პროფ. ი. ვ. ე. თიკანიძისა. გამოცემა სახელმწიფო უნივერსიტეტისა, 3) იოს. ავალიშვილის „არითმეტიკის სახელმძღვანელო“ს პირველი ნაწილი. შეიცავს 110 გვერდს და ღირს 80 მანეთი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9) იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემანი: 1) „ქართველი მწერლები“ წიგნი პირველი ი. გომელაურისა, 2) იგივე წიგნი მეორე მისივე, 3) ახალი ისტორია გველესიანისა და უზნაძისა, გიმნაზიის 6 კლასის კურსი, (რუსული ისტ. დართვით) 4) ვეფხვის ტყაოსანი დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, 5) ე. ნინოშვილი პირველი ტომი, 6) რუსული ენის გრამატიკა პროფ. გ. ახვლედიანისა, 7) არითმეტიკის სახელმძღვანელო ე. ხრამელაშვილისა. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა რომის ისტორია დ. უზნაძისა და ბუნების მეტყველების მოკლე სახელმძღვანელო ს. იაშვილისა.

სკოლის გარეშე განათლების საზოგადოების კრება შესდგება 26 სექტემბერს დილის 10 საათზე მზექავთა კავშირის ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული ოთახი № 23).

სახალხო სახლი. დღეს 24 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება ადგილობრივ წრის მიერ დრამა 3 მოქმ. გერგეშელისა „ნილაბ ქვეშ“ დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

დ. თურდოსპირელის „ამირანის ცეცხლი“ მიიღო რედაქციამ. წიგნი შეიცავს 32 გვერდს, ღირს 50 მანეთი.

მწერალთა კავშირის საბჭოს კრება. დღეს, პარასკევს, 24 ენკენისთვეს საღამოს 7 საათზე „ქიმერიონში“ მოხდება მწერალთა კავშირის საბჭოს კრება.

სვანეთში

ცაგერი (დეპეშა). ჩავაბარეთ მთელი სვანეთის იარაღი. მრავლით ჯარისკაცები, ჩამოვართვით ზოგი მოტაცებული საქონელი. დავიბრუნეთ ორი წლის წინად წართმეული გვარდიის ცხენები. დავიჭირეთ ზოგიერთი ყაჩაღები და ამით გავათავეთ სვანეთში მუშაობა. უვნებლათ დავბრუნდით ცაგერში. გვარდიელები სახლებში გავისტუმრე.

რუბენ ყიფიანი.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

გალაშქრება „კულაკების“ წინააღმდეგ.

ადესის საგუბერნიო რევკომმა დაადგინა გამოაცხადოს სოფლის „კულაკების“ წინააღმდეგ გალაშქრება. ამ მიზნით გამოცხადდა პროფესიონალურ კავშირთა წევრების 30 %-ის, საბჭოთა მოსამსახურეთა 20—26 %-ის და ყველა სალიტერატურო სააგიტაციო ძალების მობილიზაცია. შესდგება საგანგებო სალიტერატურო სააგიტაციო შტაბი. გალაშქრების დღეებში მოეწყობა ფართე აგიტაცია პურის ქალაქში შემოსაზიდათ. („კომ.“ № 177.)

სასურსათო მდგომარეობა უკრაინაში. ბ. შუბინი ხარკოვის „კომუნისტი“-ს № 177-ში სწერს: „თითქმის ყოველთვის თვითეულ სასურსათო კონკრეტულ ზომის განხორციელება დამოკიდებულია სავსებით გამოკვების სიმწვავის გადაუდებელ მიზნებით. მუშათა რევოლიუცია იძულებულია თავის საქმე აკეთოს ისეთ გარემოებაში, როცა ყველაფერი დანგრეულია და პირველ საჭიროების საგნები სრულიად არ მოიპოვება. მაგრამ განსაკუთრებით სასურსათო მუშაკის მუშაობაზე ახდენს გავლენას დღევანდელ დღის. შიმშილი ძალიან ხშირად იგი იძულებულია მთელი თავისი ძალღონე მიანდომოს მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და სასურსათო მუშაობის პერსპექტივებს თავი გაანებოს, ხეების იქით ტყეს ვერა ხედავს“.

სასურსათო კრიზისის გამწვავება. ქ. რუში სასურს. კრიზისს, გაწვავდის. მუშები ძუტანელ მდგომარეობაში არიან, ზოგმა, შეუვნებლებმა კი მუშაობასაც გაანებეს თავი. მიღებულია სერიოზული ზომები, სხვათა შორის წითელ არმიელებს ულუფა შეუმცირეს. უკრადკომს მოეპოვება სულ 300 ფუთი. პური და წისქვილებზე მიიღეს კიდევ 900 ფუთი, თუ პური მუშებსა და მათ ოჯახებს დაურიგეს, იგი მხოლოდ ერთ კვირას ეყოფა, დროებით გადაწყვეტილია პური დაურიგდეს მხოლოდ მშრომელს თითოს თითო გირვანქა. „კომ“ № 177.)

გამომცემლობის სრული ნაციონალიზაცია და ცენტრალიზაცია. ქ. ც. ი. კ.-ის უკრაინის გამომცემლობამ გამოაქვეყნა სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც ყველა საგამომცემლო საწყობებმა უნდა წარადგინონ ცნობები იმის შესახებ თუ რა და რა და რამდენი გამოცემა წიგნი, ბროშიურა და სხ. მოეპოვებათ მათ.

ამას გარდა უნდა წარადგინონ ორ-ორი ცალი 1919 წლის 1 იანვრის შემდეგ გამოსულ ყველა პერიოდულ გამოცემისა, დასაბეჭდ გამოცემათა ხელნაწერები, სარედაქციო—საგამომცემლო და საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხარჯთ აღრიცხვა, გეგმები, პროექტები და აგრეთვე ცნობები საგამომცემლო სარედაქციო ძალთა და საშუალებათა შესახებ. ამ სავალდებულო დადგენილებათა ძალით აღკრძალულია საწყობებიდან და წიგნის სავაჭროებიდან ყოველგვარი გამოცემათა გაშვება ბითუმად და ცალობით. გამოცემათა გაშვება უნდა სწარმოებდეს „ვსეუკრიზდატ“-ის მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით („კომ.“ № 177).

ცეცხლი. სუნინიჩის, კუზნეცის და ტარუსის მაზრებში ტყეებს ცეცხლი მოედო. მიღებულია ზომები ტყეების ბოროტ განზრახვით ცეცხლის მოკიდების წინააღმდეგ. სარატოვის გუბ. კუზნეცის მაზრაში იწვის ტყეები. ცეცხლმა სტიქიურ უბედურების ხასიათი მიიღო. იწვის აგრეთვე გათიბული თივა. ცეცხლის ჩასაქრობათ ქალაქიდან ახალგაზრდობა გაიგზავნა. ზარალი მილიონობითაა.

პეტროვის მაზრაში ცეცხლი მოეკიდა აგრეთვე ივანოვის ტორფის წარმოებაში. დაიწვა 200 კუბი გამზადებული ტორფი. („იზვესტია“ № 173).

საქონლის საკვების სიმცირე. მოსკოვის ისპოლკომის სხდომაზე გამოირკვა, რომ მოსკოვში ყოველ დღე შემოაქვთ სულ 2000 ფუთი თივა დღეში. ეს თივა ქალაქის ტრანსპორტის მცირედ ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებს დაშვებულ ნორმით. წელს განზრახული იყო 2,500,000 ფ. თივის დამზადება, მაგრამ წელს ბალახი იმდენათ ცოტა მოვიდა, რომ მოკრეხენ სულ მხოლოდ ერთ მეხუთედ იმისას, რაც მოსკოვს სჭირია. გადასწყვიტეს მოკრიბონ თავის სუროგატი—დაკუწული ფიჩხი. და სხ. სუროგატს მოჭრიბენ 1,500,000 ფუთს. ყველა ამ გარემოებათა მიზეზით განზრახული ტვირთის გაზიდვა ტრამვაის და ავტომობილებს დააწვება. ამას გარდა ნება დართეს ცხენები ქალაქ გარეთ აძოვონ. („იზვესტია“ № 172.)

ბანდიტიზმი. ჩერნიგოვის რევ ტრიბუნალმა გაარჩია თარხანის ბრმის საქმე. დაჭერილი იყო მხოლოდ 12 ბანდიტი. რევ ტრიბუნალმა ექვსს დახვრეტა გადაუწყვიტა. („იზვესტია“ № 170).

ერობა და ქალაქი

გაზეთებში დაბეჭდილი იყო საქართველოს ერო კავშირის მოწოდება, მიმართული აფხაზეთის ერობისადმი. ამ მოწოდებაში უკმაყოფილება იყო გამოთქმული უკანასკნელისადმი, რადგანაც აფხაზეთის ერობა გამოეყო ერობათა კავშირს და შექმნა საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია აფხაზეთის ფარგლებში. დროებითი ბიურო აფხაზეთის ქალაქთა და ერობათა კავშირისა აცხადებს, რომ აგვისტოში მოხდა აფხაზეთის ქალაქების პირველი ყრილობა, სადაც პრინციპიალურად გადაწყდა მოეწყოთ აფხაზეთის ფარგლებში ერობათა და ქალაქთა კავშირი იმ პირობით, რომ აფხაზეთის ერობა ყოფილიყო აგრეთვე წევრი საქართველოს ერო-კავშირისა. საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ფუნქციები მომავალ აფხაზეთის კავშირისა არ იყო პირველი ყრილობის მიერ გამომუშავებული. დროებით ბიუროს დაევალა შემუშავება მასალის მეორე ყრილობისათვის, რომელიც საბოლოოთ მოაწყობს აფხაზეთის ერო-კავშირს. არ ვწყვეტ რა წინასწარ იმ საკითხს, თუ რა სახეს მიიღებს ეს კავშირი, ბიუროს დარწმუნებით შეუძლიან განაცხადოს, რომ მომავალი ერო-კავშირი გაჰყვება რა საქართველოს მუნიციპალურ პოლიტიკის გზას, შექმნის მთლიან სამეურნეო-საეკონომიო ხასიათის ცენტრს. ბიუროს არ შეუძლიან არ გამოსთქვას გაკვირვება, რომ ერო-კავშირმა არ მოინდომა სწორი ინფორმაციის მიღება დროებითი ბიუროსაგან აფხაზეთის პირველ ყრილობის დადგენილების შესახებ, და ალბათ, დაეყრდნო ზოგიერთ გაზეთების ყალბ ცნობებს და აფხაზეთის ერობას ბრალი დასდო სეპარატიზმში და საქართველოს ერობათა კავშირის ღალატში.

დროებითი ბიუროს თავმჯდომარე გელოვანი, წევრები: ხახაშვილი, ნოგიკოვი, ხვანიძე, მდივანი დოლინსკი.

ბათომი

სექტემბრის 26 ბათომის გვარდიის დაარსების წლის თავს იდღესასწაულებენ. შესდგა საგანგებო კომისია ზეიმის მოსაწყობათ. ზეიმის ცენტრი—აზიზიეს მოედანია. აღლუმი დაიწყება 12 საათზე. დილის 3 საათზე ქალაქის ბაღში დაიწყება სერინობა. საღ. 8 საათზე საზოგადო საკრებულოში დაიდგმის პიესა „მსხვერპლი“.

სექტემბრის 19, თვითმართველობის შენობაში ბათომის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი სხდომა შესდგა. პალატაში შედის 20 წევრი და 7 კანდიდატი. პალატის კომიტეტი 9 წევრისაგან შესდგება. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჯავახიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ ნედოიანცი.

პროექტი სათემო დებულებისა

ჟურნალ „ერობის“ ამა წლის ივლისის მეოთხე ნომერში მოთავსებულია პროექტი სათემო დებულებისა.

ეს პროექტი ჩვენის აზრით მიუღებელია თავიდან ბოლომდის.

ნათლათ ემჩნევა, რომ ავტორი ამ პროექტისა სრულიად არ იცნობს ჩვენს ცხოვრებას, არ იცნობს ჩვენს ერობას და არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რანაირი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სამაზრო და სათემო ერობათა შორის. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ არც მთავრობა და არც დამფუძნებელი კრება არ გაიზიარებს ამ პროექტს, ხოლო რომ ასე არ მოხდეს, და ეს პროექტი კანონათ იქცეს, უეჭველია, ის დიდს არევ-დარევას შეიტანდა თვითმართველობათა ცხოვრებაში.

რაიმე ინსტიტუტის დებულების მნიშვნელობა უმთავრესათ აწმყოს პირობებით განისაზღვრება. ყოველივე მისი მუხლი დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული სახელმძღვანელოთ იმ ინსტიტუტის მიერ, რომლისთვისაც ისაა შემოღებული.

ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ „ერობაში“ გამოქვეყნებულ პროექტს, ძალაუნებურათ იფიქრებთ, რომ ავტორს აინტერესებდა არა თემების მოწესრიგება, არამედ ისეთი განყენებული დებულების დაწერა, რომელიც მხოლოთ თეორიულათ იქნებოდა მისაღები.

მაგრამ ეს ჩვენ არ გამოგვადგება. ჩვენი სათემო თვითმართველობები აღმშენებლობით ხანაში არიან. ამ სათუთ ინსტიტუტს ფრთხილათ უნდა მოვეპყრათ, არც უნდა შევკვეცოთ მისი უფლებები, მაგრამ არც უნდა გაფართოვდეს, რომ მოსპოს ნიადაგი სამაზრო და სათემო ერობათა თანამშრომლობისა. ეჭვს გარეშეა ჯერ-ჯერობით სამაზრო ერობა უნდა დარჩეს უმთავრეს პასუხისმგებელ ორგანოთ მაზრაში, და შესაფერი ნორმებიც უნდა შემუშავდეს მასა და სათემო ერობათა დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულ დებულების პროექტში კი პირდაპირ არის ნათქვამი (მუხლი 51): „ყველა საკითხი, რომელიც თემის განსახილველათ წარმოდგენილ იქნება... სწყდება საბოლოოთ და არავითარ ხელქვეითურ დამოკიდებულებაში სხვა ერობათა (იგულისხმე სამაზრო ერობა. ს. ჭ.) დაწესებულებებთან არ იმყოფება“.

თემებს ევალება: 1. ზომების მიღება ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის, 2. საბეითლო ზედამხედველობის დაარსება, 3. სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების ორგანიზაცია, 4. მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა. მას უფლება ეძლევა საჭირო კანონპროექტის შეტანა რესპუბლიკის უმაღლეს კანონმდებლობით დაწესებულებაში და სხ. ავტორის გატაცება იქნამდისაც კი მიდის, რომ თემებს ნავთსადგურების, საავადმყოფოების და სანატორიების მოწყობასაც კი ავალებს.

ასეთი მოვალეობების დაკისრების საწინააღმდეგო რა გვეთქმის, მაგრამ განაცხადზე უცხადესი არაა, რომ ეს მშრალი, უშინაარსო სიტყვებია, და ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ის ასე ადრე ვერ განხორციელდება.

რომელი იურიდიულ დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი თემში, როცა სამაზრო ერობაც ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს ამ ინსტიტუტის მოწყობას! რომელი საბეითლო დახმარების მოწყობაზეა ლაპარაკი, როცა ყველაზე უფრო ბედნიერ სამაზრო ერობას ძლივს მოეპოვება სამი თუ ოთხი საბეითლო პუნქტი. სასაცილო არაა ნავთსადგურების, საავადმყოფების და სანატორიების თემების ძალღონით მოწყობა, როცა ბედნიერებათ ჩავთვლიდით, თუ სამაზრო ერობას დაურჩებოდა ორი ან სამი გვარიანათ მოწყობილი საავადმყოფო და თვით რესპუბლიკა შესძლებდა არსებული ნავთსადგურების შენახვას! ეჭვს გარეშეა ავტორს მდინარის ნავთსადგურები აქვს მხედველობაში, მაგრამ ალბათ დაავიწყდა, რომ მდინარე ვოლგა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში არ შემოდის...

ჩვენ სრულებით არ გვინდა ამით იმის თქმა, თითქოს აღნიშნული მოვალეობანი არ უნდა გახდეს თემის საზრუნავ საგნათ. პირიქით ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ეს მოვალეობანი თემს უნდა დაეკისროს, რომელსაც კიდევაც უნდა მიეცეს სათანადო უფლებებიც, მაგრამ სანამ ამას მოვახდენდეთ, უნდა შევუქმნათ მათ შესაფერი პირობები, განვამტკიცოთ ისინი. და მივცეთ მათ საკმაოთ მომზადებული სამრობო მოღვაწენი. მაშინ არავითარი შიში არ იქნება იმისა, რომ სათემო თვითმართველობის ჩარევა ისეთს საქმეებში, როგორიცაა სკოლა, მედიცინა და სანატორია გაართულებს და შეაფერხებს ამ დიდს კულტურულ საქმეების ნაყოფიერათ მიმდინარეობას. ჯერ-ჯერობით კი საექიმო დახმარება, სასკოლო საქმეები ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შედიოდეს სამაზრო ერობის მოვალეობასა და კომპეტენციაში, რათა დაცული იქნეს მთლიანობა და მიზანშეწონილება ამ დახმარების მოწყობაში.

სათემო დებულებას ზემოთმოხსენებული მოსაზრებები უნდა დაედვას სარჩულად და ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ გარეგნულად მიზნადული ნორმებით ვერავინ შეცვლის ცხოვრების სინამდვილეს.

დებულების მუხლობრივი განხილვა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ პროექტის დასახასიათებლათ ზოგიერთ მუხლებს მაინც შევეხოთ. ვინ არ იცის, რომ თემების გადამიჯვნა მწვავეთ დგას ყველა მაზრებში. განყენებული მოსაზრება ტერიტორიის მხრივ მსხვილი თუ წვრილი ერთეულის უპირატესობისა პრაქტიკაში არ გამოგვადგება. სინამდვილემ მაინც თავისი გაიტანა, და სამაზრო ერობები ბევრ შემთხვევებში იძულებული გახდენ დაეტოვებინათ ერობის გამგეობის პრინციპიალური შეხედულება ამ საკითხზე და ადგილობრივი პირობების მიხედვით გამოეკვეთა თემი. ამ საკითხში სამაზრო ერობა გამოდის მხოლოდ და მხოლოდ მიზანშეწონილების თვალსაზრისიდან, რათა არ მოხდეს ამ ნიადაგზე გაწვავება თემთა შორის და არ შეფერხდეს სათემო თვითმართველობათა საქმის მიმდინარეობა. პროექტის ავტორი ამ მდგომარეობას არ იცნობს.

თუმცა მეოთხე მუხლის ძალით თემის

რომელიც მოხდა ლაიბში. 9 აგვისტოს. ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: „პირველი დებულება, რომელსაც ჩვენ შევთანხმდით, იყო ის, რომ მოკავშირეთა პოლიტიკის ერთად ერთი მიზანია ზავის უზრუნველყოფა ეტნოგრაფიული პოლონეთის დამოუკიდებლობის საფუძველზე. ჩვენ არ მივისწრაფით რამე სხვა მიზნებისკენ, უკიდურეს მიზნებისკენ. ესაა ჩვენი უმთავრესი და ერთად ერთი მიზანი პოლონეთის მოლაპარაკებაში. მეორე მუხლი, რომელზეც ჩვენ შევთანხმდით, არის შემდეგი. ჩვენ მივუთითეთ საბჭოთა მთავრობას, რომ მან უნდა გამოაცხადოს ზავი, ორშაბათს, შუადღისას (10 აგვისტოს). მოსკოვიდან ჩვენ მივიღეთ პასუხი: „პოლონელები აპირობენ გვიახონ ჩვენ საშინაოთ და განიხილონ საკითხი, ჩვენ მათთან უფრო მალე მოვილაპარაკებთო“. ჩვენ ამის წინააღმდეგი არაფერი გვაქვს. მესამე მუხლი არის შემდეგი. მოკავშირეებმა უნდა ურჩიონ პოლონეთს, შეეცადოს დროებითი ზავის ჩამოგდების და შემდეგ საბოლოო ზავის მიიღოს ისე, რომ ეტნოგრაფიული პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარებულ იქნეს. გადაწყვეტილია (ე. ი. რომ ეს რეკომენდაცია უნდა იქნეს მოკავშირეებისაგან და ის იქნება), მე მჯერა, რომ ჩვენ არ დავეკითხებით ამისთვის პარლამენტის სანქციას გუშინდელ (ტაში). მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი ერთსულოვნად იქნება ამ საკითხში და რამდენათ იქნებოდა მნიშვნელოვანი ჩვენ გაუგზავნით ამ რეკომენდაციას დღესვე. მეოთხე მუხლი. თუ პოლონეთი მიიღებს ჩვენს პირობებს, მოკავშირეები მართლაც არ ჩაერევიან არც ზავის პირობებში და არც უარყოფენ ამ შეთანხმებულს“. ... რუსეთის პირობებს? ლოიდ ჯორჯი განაგრძობს: „თუ ისინი შეთანხმდებიან მინსკში, ჩვენ აზრით არა გვაქვს ჩავერიოთ ან არ მივიღოთ ხელშეკრულება, რომელიც მისაღები იქნება პოლონეთისათვის. ეს მათი საქმეა, მე გულწრფელად ვიმეორებ, რომ ზავი იქნება. მაგრამ რომ არ იქნეს? მინსკის კონფერენცია რომ დაიშალოს? ამ შემთხვევაში არის ორი ელტერნატიული მისაზრება, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ, როგორც შესაძლებელს, თუ მინსკის კონფერენცია დაირღვა: ან პოლონეთი უარს იტყვის, ან ბოლშევიკები წაუყენებენ ისეთ პირობებს, რომლებიც მოსპობს პოლონეთის დამოუკიდებლობას, მაშინ მართლა სერიოზული მდგომარეობა შეიქმნება. უბრალო არაა ის, რომ ჩვენ მორალურათ ვართ დაკავშირებული ჩვენი მოკავშირე ნაციის სიცოცხლესთან, რომელსაც ჩვენ აღვუთქვით დახმარება შემთხვევისთვის, თუ მის ნაციონალურ არსებობას დაემუქრებიან. ამას გარდა, დიდი საფრთხე და არევ-დარევა მოელის ევროპის მშვიდობიანობას, თუ თქვენ გვყავთ დიდი აგრესიული საბჭოთა იმპერია შეთანხმებული გერმანიასთან. არიან ზოგიერთები, რომელთაც სწამთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა არსებობდა მშვიდობიანობის მოყვარულ... დიდ, სწამდეთ მათ ეს. მაგრამ უთუ ზავის ჩამოგდებისათვის ყოველგვარ ცდის მიუხედავათ, წინააღმდეგ რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია ცხადი და ამ მიზნისათვის თუ წარადგენენ ისეთ პირობებს, რომელიც შეიცავს სხვა ქვეყნის ანექსიას, მაშინ საბჭოთა რესპუბლიკა, რაც უნდა ყოფილიყოს ის გუშინ, დღეს და ხვალ, მაინც იმპერიალისტურ მილიტარისტულ სახელმწიფოდ შეიქნება (ტაში). ესაა ერთი იმ საფრთხეთაგანი, რომელიც ჩვენ გვახსოვდეს. ეს არის რეალური საფრთხე და თუ საბჭოთა რესპუბლიკა გადალახავს პოლონეთს და პრაქტიკულათ ანექსიას მოახდენს მას, მაშინ... საბჭოთა რუსეთი იქნება აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელიც არის საფრთხე მთელი მსოფლიოს თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის. (ტაში). მე ვიმეორებ, რომ ეს მეტად შემთხვევაა არ იქნება, მაგრამ მე ვიქნებოდი ბრმა, რომ დაცული ვიქნებოდი ქარიფშუტა, თუ მე დაგარწმუნებდით თქვენ, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია, და არ მივიღებ სათანადო ზომებს ამ მოსაზრებების გამო. რამდენიმე დღე გამარკვევს ამ მოსაზრებას“.

„რა უნდა გააკეთონ მოკავშირეებმა?“ აყენებს საკითხს ლოიდ ჯორჯი და უპასუხებს თუ რა მიზნებს ისახავს დღეს ანტანტა. და ეს არის შემდეგი: 1. არავითარი მოქმედება არ იქნება დაწყებული პოლონეთისთვის, გარდა დახმარების აღმოჩენისა თვით პოლონეთისა და მის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. 2. ჩვენ შეგვიძლია დახმარება მივცეთ მხოლოდ იმ ერს, რომელიც იბრძვის თავისუფლების დასაცველად. 3. არავითარი ჯარი არ შეიძლება იქნეს გაგზავნილი პოლონეთში, მე ეს აშკარათ განვაცხადე პარლამენტში და ეს არის პოზიცია, რომელიც ჩვენ საბოლოოთ მივიღეთ. 4. თუ მინსკის კონფერენცია დაიშლება ბოლშევიკების მოხვევით და პოლონეთის დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩავარდა, მაშინ ჩვენ დავეხმარებით პოლონეთის ხალხს მის საჭირო თავდაცვაში (ტაში). მას მივცემთ საჭირო მილიტარულ რჩევას და ხელმძღვანელებს“. შემდეგ იგი შეეხო ვრანგელს და ცდილობდა გაამტკიცოს, რომ იგი არა ცნობს ვრანგელს და არც ეძლევა მას არავითარ დახმარებას. დასასრულ ასეცეს: ლონდონის კონფერენციის (რომელსაც უნდა დაესწრონ ბოლშევიკები, განაპირა ქვეყნების წარმომადგენლები და ანტანტის ზავის შესაკრებელად) მიზანი აქვს ზავის დამყარება და თუ ბოლშევიკებს სურთ იგი, ისინი უნდა მივიდნენ აქ. თუ ეს საბჭოთა დიქტატურის ბრძანებაა, ჩვენ მათ დავხვდებით. ჩვენ შევერთებულნი პოლიტიკურ რჩევებს, რომელსაც არ ვიზიარებთ... მე იმედი მაქვს ჩვენი საბჭოთა ქვეყნის, მაგრამ ზავი აუცილებელია ყველა რწმენისთვის, რომელიც მცირე ვიცით, და ჩვენ მივცემთ ეს წინადადება მოსკოვს. თუ საბჭოთა მთავრობა ამის შეხედავს ზავზე, მან უნდა მიიღოს იგი (ტაში). საბჭოთა მთავრობა უნდა შეხვდეს ყველა ევროპულ ერს და შეიძლება ამერიკასაც ამ მიზნით გარიგება, რაიცა განსაზღვრული იქნება ყველა პირობები“.

გაზეთი „ტაიმსი“ მოიყვანს ციტატებს ლოიდ ჯორჯის სიტყვიდან და სავსებით ეთანხმება მას. საერთოდ ინგლისური პრესა კმაყოფილებით შეხვდა ლოიდ ჯორჯის სიტყვას.

ვიქტორ ნოზაძე.

(შემდეგი იქნება)

[illegible]

…თი უფლება აქვთ (იხ. მეოთხე მუხლის მეორე შენიშვნა) მოქალაქეთ ინიციატივის საერთო წესით, ერობათა კავშირს, სამაზრო ერობას, სამინისტროს. ჩვენ არ ვიცით რომელი შემთხვევა იქნება ის, როცა სამაზრო ერობა იძულებული იქნება თავისივე დადგენილება გაასაჩივროს და სრულიად არ გვესმის, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ საკითხთან ერობათა კავშირს, რომელიც არავითარი საჯარო უფლებებით არაა აღჭურვილი, და რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოვა საერობო ყრილობის დადგენილების გამაკრიტიკებელ როლში.

რომ დებულების პროექტის ავტორი დაშორებულია თანამედროვე ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, იქიდანაც სჩანს რომ სრულებით ანგარიშს არ უწევს თემის არსებულ კონსტრუქციას და დიდ მნიშვნელოვან ორგანოს, როგორიცაა თემის გამგეობა, სრულიად აუქმებს. თემის გამგეობა მიიღო ჩვენმა ხალხმა და კიდევაც შეეჩვია იმ აზრს, რომ ის ექვემდებარება არა პიროვნებას, არამედ მისი წარმომადგენლობის კოლეგიას. ჩვენ არ გვგონია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის დამახასიათებლად ჩაითვალოს ამ ფაქტიურათ არსებულ ინსტიტუტის გაუქმება და მის მაგივრათ ახალ ფორმებში ძველი მამასახლისობის შემოღება.

მეცამეტე მუხლით „თითეულ თემს ყავს ა) საბჭო, ბ) თემის თავი და მისი თანაშემწე".

ამ რიგათ თემის გამგეობის მაგივრათ ამოტივტივდა თემის თავი, რომლის ფუნქციები ფარავს ეხლანდელ თემის გამგეობის კომპეტენციას. 37—50 მუხლებში გარკვეულია თემის თავის კომპეტენცია. მას უფლება ეძლევა ზოგიერთ შემთხვევებში გადაჭრას ისეთი კითხვები, რომელიც შეადგენს საბჭოს კომპეტენციას. ის დამოუკიდებლათ განაგებს სათემო მილიციას, იჭერს დამნაშავეს და აძლევს თემის მცხოვრები პასპორტს. თემის თავს აქვს თავისი კანცელარია. ჩვენ არ ვიცით, რა სახის სათემო მილიცია აქვს მხედველობაში ავტორს, ხოლო თუ სათემო მილიციის არსებობა საჭიროა, მას უფროსიც უნდა ყავდეს და მილიციის უფროსათ ავტორს ალბად თემის თავი ყავს დასახული.

თემის თავის გარდა ავტორს კანონმდებლობაში შემოაქვს მეორე აღმასრულებელი ორგანო საბჭოს კომისიების სახით. საბჭო სხვა და სხვა კითხვების დასამუშავებლად ირჩევს კომისიას, რომლის მოხსენების სისრულეში მოყვანა, თუ ის დამტკიცებული იქნა საბჭოს მიერ, შეიძლება მიენდოს იმავე კომისიას. აქ კომისია მოქმედებს, როგორც თემის თავი (30—32 მუხ.) გამოდის, რომ საბჭოს ყავს არა ერთი აღმასრულებელი ორგანო, არამედ რამდენიმე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე აღმასრულებელ ორგანოს თავისი განკარგულების სისრულეში მოსაყვანად ყავს ძალა, რომელიც მას ემორჩილება. თემის თავს ყავს ასეთი ძალა თავის თანაშემწეების და სათემო მილიციის სახით. ალბათ აღნიშნულ კომისიასაც იგივე ძალა უნდა დაემორჩილოს, და ჩვენ მივიღებთ ისეთს მდგომარეობას, როცა ძაღლი პატრონს ველარ იცნობს. საბჭოს კომისია, როგორც აღმასრულებელი ორგანო, რომელიც „მოქმედობს როგორც თემის თავი", აშკარაა, თემის თავს ვერ დააკისრებს განკარგულების სისრულეში მოყვანას, მილიციას კი „დამოუკიდებლად განაგებს თემის თავი". ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივიღებთ მუდმივ კონფლიქტს ამ ორ აღმასრულებელ ორგანოთა შორის, რომლის შედეგი მხოლოდ ის იქნება, რომ მილიციას რამდენიმე პატრონი გაუჩნდება და არსებითად ვერც ერთს დავალებას შეასრულებს.

პროექტის ავტორს, რომ თავის თავზე მიეღო შრომა რომელიმე ტიპიური მაზრის შესწავლისა, ის დაინახავდა, რომ ქვეყნისათვის ასეთი ძალის დატანება სრულიად ზედმეტი იყო.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ ეს საკითხი უბრალოთ, მაგრამ მტკიცეთ გადაჭრა. ჩვენ არ გვგონია, რომ რო-

[illegible]

…თმართველობებმა დამოუკიდებლათ შესძლონ სათვითმართველო საქმეების წარმოება, ჩვენი ცხოვრების პრაქტიკამ უდავოთ მიიღო სათემო ერობას სამაზრო ერობასთან ერთნაირი დამოკიდებულება. ყოველივე განკარგულება სამაზრო ერობისა სისრულეში მოდის თემის გამგეობის საშუალებით. თემის გამგეობა სამაზრო ერობის ადგილობრივი ორგანოა და ყოველივე თავის მოქმედებაში ის ეყრდნობა ამ ორგანოს. სამაზრო ერობის მოწოდება და ბუნებრივი მისი დანიშნულება თემის განმტკიცებისათვის მუშაობაა, ვინაიდან სამაზრო ერობის მუშაობის ნაყოფიერება სრულიად დამოკიდებულია სათემო ორგანიზაციის მდგომარეობაზე. ამ ნიადაგზე არავითარი უთანხმოება სამაზრო და სათემო ერობათა შორის არ უნდა არსებობდეს, და თუ არსებობს, უნდა დაიწეროს კანონი, რომელიც ამ დამოკიდებულებას გამოარკვევს და იურიდიულ ნორმებში ჩამოაყალიბებს.

განხილული პროექტი არაფერს არ სწყვეტს, ის გვიდგენს მხოლოდ მშრალს, განყენებულს ფორმულებს თემის მოვალეობა-უფლებებისას.

რამდენათაც ვიცით, ეს პროექტი შედგენილია ერობათა კავშირის კომიტეტის პრეზიდიუმის დავალებით. ერობათა კავშირის კომიტეტს ჯერ ეს პროექტი არ განუხილავს. იყო მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის თათბირი კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ კრებაზე, რომელმაც თითქმის ერთხმათ უარყო ეს პროექტი და სურვილი გამოსთქვა, რათა დაჩქარებით მოწვეულ იქნას ერობათა წარმომადგენლების ყრილობა ამ პროექტის გასარჩევათ. ჩვენ ვიცით, რომ საერობო მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა არ იზიარებს ამ პროექტს და დარწმუნებულიცა ვართ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ შეიტანს ამ პროექტს მთავრობაში, სანამ არ მოისმენს საერობო პრაქტიკულ მოღვაწეთა საერთო აზრს.

ს. ჭანტურიშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 9 სექტემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა, სადაც განხილულ იქნა ევროპის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის საკითხი. კოლექტივმა დაადგინა: ეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს კოლექტივის ყველა წევრთ მიეცეთ მანდატი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნეს საზეიმო კომისიაში მიიღონ კოლექტივის წევრებმა მონაწილეობა. ეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს, რომ ავლაბრის რაიონშიაც მოყვანილ იქნან ევროპის დელეგაციის წევრები, რათა ყველა პარტიის წევრთ საშუალება ექნეს ინახულონ ძვირფასი სტუმრები.

მიწის კომისიას კოლექტივი წინადადებას აძლევს შეუერთდეს არსებულ კომისიებს, იმუშაონ ერთად და როდესაც ტეხნიკური მხარეები გამორკვეულ იქნება, გაიმართოს ბელგორკის რაიონში საზოგადო კრება, სადაც კომისია წარუდგება დამუშავებული გეგმით.

ბინების საკითხის შესახებ კოლექტივი ადგენს: ვინაიდან ამ ჟამად ბინების საკითხი მოითხოვს ფრიად საჩქარო გადაწყვეტას, ხდება უზომო სპეკულიაცია ბინებით, არსებული საბინაო კომიტეტი გაუქმებულ იქნეს, მის მაგიერ შედგეს კომპეტენტური ორგანო, სადაც უნდა შევიდნენ მუშათა კომისიები, მოხდეს ოთახების რეგისტრაცია, ვინაიდან თითოს ზოგჯერ შვიდი და ექვსი ოთახი აქვს დაკავებული, და ამ საკითხზე დაიწეროს ვრცელი მოხსენება, რომელიც წარდგენილ იქნება ცენტრალურ კომიტეტში.

სოციალური დამხმარე საზოგადოების შესახებ კოლექტივი ადგენს: ყველა რწმუნებულებმა, რომლებიც არჩეული არიან ავლაბრის რაიონიდან, 12 სექტემბრის სხდომაზე მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

თეოფ. ხერიაშვილის შესახებ კოლექტივი ადგენს: მეთამბაქოეთა კავშირში გაიგზავნოს კომისია, რომელიც აღძრავს შუამდგომლობას, რათა ხერიაშვილს ეპატიოს ფულით დაჯარიმება, ვინაიდან ხერიაშვილმა უკვე ერთგვარი ზნეობრივი სასჯელი მოიხადა მთელი ამ დროის განმავლობაში.

არამიანცის იაჩეიკას წინადადება მიეცეს შეკრებოს კოლექტივს ბინაზე, და მხოლოდ მის შემდეგ კოლექტივი მისცემს პასუხს იმ მოთხოვნილებებს, რაც წამოყენებული აქვს ბარაკს ნომერ პირველს.

ამხ. იოსებ ბარამაშვილს მიეცეს ოქმის პირი, რომელსაც ის წარადგენს შრომის კომისართან, რათა მოხსნილ იქნეს მექარხნე „სლონის" საჩივარი, რომლითაც მექარხნე ზარალის ანაზღაურებას უჩივის ბარამაშვილს, თითქოს ამ უკანასკნელს თავის სურვილით შეჩერებინოს ქარხანაში მუშაობა ბათომის დემონსტრაციის გამართვის დღეს.

სარეზერვო რაზმში მიღებულ იქნა ამხ. ალექსანდრე ვართანოვი, რომელიც მიიღებს იარაღს მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან.

ვერხვი.

შრომის კომისრის მოხსენება

(ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველოს მუშათა მდგომარეობის შესახებ).

(დასასრული. იხ. „ერთ." № 215).

მუშათა დაზღვევა. ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველოს მუშები დაზღვეულნი არიან უბედურ შემთხვევებისაგან და კერძოთ, ავათმყოფობის შემთხვევისაგან,

შავი ქვის მწარმოებელთ შეაქვთ შავი ქვის მწარმოებელთა ყრილობის საბჭოს განსაკუთრებულ ფონდში 50 კაპ. კვირაში თითოეულ მუშაზე და 10 მანეთი თვეში თითოეულ მოსამსახურეზე.

ის პირნი, რომელნიც უბედურ შემთხვევისაგან დასახიჩრდებიან, შავი-ქვის მწარმოებელთა ყრილობის საბჭოსაგან ღებულობენ საექიმო დახმარებას, ხოლო თუ ისინი დაკარგავენ შრომის უნარს—ღებულობენ პენსიას თანახმად 1903 წ. 2 ივნისის კანონისა. უბედურ შემთხვევისაგან დაავათმყოფებულნი გამოკეთებამდე ღებულობენ ნამდვილ ჯამაგირის ნახევარს.

შავი-ქვის მწარმოებელთა ყრილობის საბჭოს დამზღვევ განყოფილების ცნობით, მიმდინარე წელში იყო 25 უბედური შემთხვევა, 6 შემთხვევა იყო მაღაროებში, 9—მტვირთავებში, 3 მრეცხავ ქარხნებში, 7 სხვა კატეგორიის მუშებში.

შავი ქვის მწარმოებელთა ყრილობის საბჭო ავათმყოფობის დროს მუშებს აძლევს დახმარებას ა) საამბულატორიო დახმარებისა და ბ) ავათმყოფის შენახვის საექიმო დახმარების სახით.

შავი ქვის მწარმოებელთა ყრილობის საბჭოს ჭიათურაში აქვს კარგათ მოწყობილი საავათმყოფო და ექიმთა საჭირო პერსონალი. ავათმყოფობის დროს მუშები დახმარებას არ ღებულობენ.

ჭიათურაში საავათმყოფო კასის დაარსებლათ და ჩვენში არსებულ მუშათა დაზღვევის კანონების გასაცნობათ მე მოვიწვიე მტვირთავთა და კავკასიის მაღაროს ამხანაგობის მუშათა საერთო კრება; რომელმაც დაადგინა ჭიათურაში გადაუდებლათ საერთო საავათმყოფო კასის დაარსება.

მუშებისათვის იაფ ფასიან სურსათის მიწოდება. ამა წლის მაისიდან ჭიათურაში არსებობს მუშათა მაგიდა, რომელიც აწვდის მუშებს პურს და სხვა პირველ საჭიროების საგნებს. ვინაიდან უკანასკნელ ხანებში მუშათა მაგიდა მოკლებული იყო საშუალებას მუშებისათვის პური მიეწოდებინა (ფქვილის უქონლობის გამო), მუშები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა იმის გამო, რომ ადგილობრივ ბაზარზე ხშირათ პური სრულიად არ იშოვებოდა ან ისეთი ცხვებოდა, რომელიც არ იჭმეოდა. თუ ამას მივუმატებთ იმასაც, რომ უკანასკნელ ხანებში რამოდენიმე კვირის განმავლობაში მუშები არ ღებულობდენ იაფ ფასიან პურს, ხოლო შავი ქვის მწარმოებელნი მათ არ აძლევდენ ზედმეტ სამუშაო ქირას 25 პროცენტს,—ასაბუთებდენ რა იმით რომ მათ სასურსათო ფონდში შეიტანეს თითოეულ მუშაზე 1000 მანეთი და მათი საქმე არ არის, თუ მუშათა მაგიდა მათ სურსათს არ აწვდის. აუტანელი მდგომარეობა კიდევ უფრო ნათელი შეიქნება.

ბინის საკითხი. მსოფლიო ომის დასასრულ, როცა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა ძლიერ ფართოვდებოდა, ბევრ ფირმებმა თავიანთ მუშებისათვის გააშენეს სპეციალური სახლები, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ მაშინაც ამ მხრივ ბევრი იყო გაკეთებული. ხსენებულ სახლების უმეტესობა ეხლა შეკეთებას საჭიროებენ და ბინის საკითხი როგორც ყველგან, ჭიათურაშიაც მწვავეთ სდგას.

15 აგვისტოს შრომის სამინისტროს რწმუნებულმა მოიწვია თათბირი, რომელზედაც შავი ქვის მწარმოებლებმა და მსხვილი ფირმების წარმომადგენლებმა აღუთქვეს 3 თვის განმავლობაში შეეკეთებიათ სახლები. ვინც დანიშნულ დროისთვის ვერ შესძლებს მისცეს მუშა-მოსამსახურეთ ბინა ან საერთო საცხოვრებელი, მან უნდა გადაუხადოს შესაფერი დახმარება ფულით.

შრომის დაცვა. როგორც წინეთაც ვსთქვი, ჭიათურის მრეწველობა თუმცა ნელ ნელა, მაგრამ მაინც ცხოველდება; სამრეწველოში მომუშავე მუშათა რიცხვი იზრდება; მაგრამ დღითიდღე იზრდება აგრეთვე კაპიტალსა და შრომის უთანხმოებისა და გაუგებრობის რიცხვი. ამასთანავე შრომის დაცვის საკითხი ჭიათურის სამრეწველოში არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჭიათურაში არ არის შრომის სამინისტროს ორგანო. არ არის მუშათა ინტერესების დამცველი სპეციალური აპარატი; ბევრ წარმოებებში ირღვევა შრომის დაცვის კანონი, ზედმეტ მუშაობისათვის მუშები იმაზე ნაკლებს იღებენ, რაც კანონით ერგებათ; და ყველაფერი ეს ხდება იმიტომ, რომ შრომის სამინისტროს რწმუნებული ამასთანავე ერთად არის პროფესიონალურ კავშირთა ინსტრუქტორი და პარტიული პროპაგანდისტი, ის ძლიერ დატვირთულია მუშაობით და მიუხედავათ ენერგიისა და მეცადინეობისა, ვერ ასწრობს კერძოთ დაათვალიეროს ის წარმოებები, რომელნიც დიდი მანძილით დაშორებული არიან ერთმანეთისაგან. მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია ჭიათურაში დაინიშნოს შრომის კომისარი მოსამსახურეთა შესაფერი შტატით, მიეცეს მას მიმოსვლისთვის საჭირო თანხა, რომ მას შეეძლოს ხშირათ დაათვალიეროს სამრეწველოები. კომისრის დანიშნამდე კი, საჭიროა, რომ ეხლანდელი რწმუნებული მხოლოდ შრომის სამინისტროს საქმეებზე მუშაობდეს.

პროვინცია

რაჭის მაზრა. იშვიათია ისეთი მაზრა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც მიწის მუშა ისეთს გაჭირვებას განიცდიდეს თავის ოჯახის გამოსაკვებათ, როგორსაც განიცდის საერთოთ რაჭის მაზრა. ჯერ კიდევ კარგ მოსავლიან წლებში რაჭის მაზრის მცხოვრებლებსა არ მოსდით საკმაო მოსავალი მიწის სიმცირის და ცუდი ხარისხის გამო. მიუხედავათ იმ დიდი შრომისა, რომელსაც ეწევიან რაჭის მცხოვრები, ისინი მაინც იძულებული ხდებიან ოჯახები მიატოვონ და სხვაგან ეძებონ სამუშაო, იშოვონ ორიოდე გროში და მით ცოლ-შვილი გამოკვებონ. თუ კარგი მოსავლის დროს ასეთს გაჭირვებას განიცდის რაჭის მაზრა, მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა იმ დროს, როდესაც საერთოდ მთელ საქართველოში და კერძოთ რაჭაში ცუდი მოსავალია. შარშან თითქმის ექვსი თვით ადრე მაზრას დააკლდა სიმინდი, რამაც გამოიწვია საშინელი სიმშილი და გაჭირვება. სანამ შესაძლებელი იყო მამისონის უღელტეხილიდან სიმინდის გადმოტანა, შეიძლებოდა როგორმე თავის რჩენა, მხოლოდ, როცა უღელ-ტეხილიდან შეჩერდა ომიანობის გამო სიმინდის შემოტანა, მაშინ შეიქმნა ნამდვილი ჯოჯოხეთი და სიმშილის აჩრდილი თავს დასტრიალებდა მთელს მხარეს. იყო რამდენიმე ვაგონი გამოგზავნილი მთავრობის მიერ, რომელიც შეღავათიან ფასებში ურიგდებოდათ მცხოვრებთ. მხოლოდ ეს იყო წვეთი ზღვაში მთელს მაზრისთვის, და მცხოვრებლები რამოდენიმე სოფლების სტოვებდნენ სამუშაოს და ტომრებით ხელში რამდენიმე ათეული ვერსიდგან ზიდავდნენ ზურგით თითო ფუთობით სიმინდს, რომლის ფასმაც აიწია 1600 მანეთამდე. ივლისში შემოვიდა მამისონის უღელტეხილიდან რამდენიმე ვაგონი სიმინდი, რამაც სულზე მოუსწრო დამშეულ რაჭას, რის ფასმაც საგრძნობლათ დაიწია. ამ ნიადაგზე გაავრცელეს ხმა, რომ რუსეთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ სიმინდის ჭამას არ კადრულობენო. უნდოდათ ამით წყალი აემღვრიათ, მაგრამ თვით ოსების გადმოცემით გამოირკვა, რომ მათ სიმინდის რეკვიზიციას ახდენდენ და სამაგიეროს არაფერს აძლევდნენ, რამაც აიძულა უკანასკნელნი ჩვენში სიმინდი შემოეტანათ და ფართალში გადაეცვალათ. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს რაჭის მაზრას, რომელსაც ბედმა არგუნა სიმშილი არა იმიტომ, რომ იგი დაუდევარია ან ზარმაცი, არამედ მიწა მცირეა და უვარგისი. საჭიროა ფართოთ მოეწყოს გადასახლების საქმე, უმამულო რაჭველი გლეხი იძულებულია მიატოვოს მშობლიური მხარე, და გადასახლდეს იქ, სადაც თავის შრომით უზრუნველყოფს ცოლშვილს.

ე. კაციტაძე.

დუშეთის მაზრის ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ სკოლების ინსტრუქტორმა ბ. ეკვთიმე მიქელაძემ მასწავლებელთა ივნისის ჯამაგირი 70,000 მანეთამდე მიითვისა და ფარულათ წავიდა მაზრიდან.

გამგეობამ ამის შესახებ აცნობა სამინისტროს, რათა აღნიშნული მიქელაძე რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში არც ერთ თანამდებობაზე არ იქნას მიღებული.

გამგეობა.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" მე-206 ნომერში ბარცხანელი სამხედრო სამნეო განყოფილების დუქნის შესახებ.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილებასთან არსებობს მოსამსახურეთა დუქანი და სასადილო. დუქნის მიზანია: წესიერად გაანაწილოს ის სახელმწიფო ულუფა, რომელიც ეძლევა ხსენებულ განყოფილების მოსამსახურეებს და აგრეთვე რამდენად შესაძლებელი იქნება, მიაწოდოს მათ ხელმისაწვდომ ფასებში სურსათ-სანოვაგე. სასადილოს დანიშნულებაა: რაც შეიძლება იაფად და კარგი სადილი დაუმზადოს აღნიშნულ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს. ამ დუქანს და სასადილოს მზრუნველად ყავს არჩეული კომიტეტი და გამგე. გამგე არის აღმასრულებელი ძალა; კომიტეტი კი დირექტივების მომცემი და საკონტროლო ორგანო. ასე რომ, როგორც სჩანს, აღნიშნული დუქანი და სასადილო ემორჩილება ერთნაირი კოლლეგიალურ დაწესებულებას და პიროვნებას, ცალკე აღებულს, გადამჭრელი მნიშვნელობა არა აქვს. მიმდინარე წლის 25 მარიამობის თვეს მოხდა რეორგანიზაცია კომიტეტის წევრებისა და გამგისა. ახლად არჩეულნი შეუდგნენ თავის მოვალეობის ასრულებას პირველ სექტემბრიდან, რის შემდეგ არც საპონი დარიგებულა და არც არავითარი გაუგებრობას ქონია ადგილი. ბარცხანელს უნდა გაერჩია ორი მომენტი: 1) დუქანი ძველ კომიტეტ—გამგის და 2) ახალ კომიტეტ-გამგის ხელში და განემარტა, რომელ მომენტს გულისხმობს იგი ამ წერილში ახლად არჩეულ კომიტეტს არ შეუძლია აგოს პასუხი ძველ კომიტეტის მოქმედებაში, თუ მართლაც ასეთ მოვლენებს ქონდა ადგილი.

კომიტეტის მონდობილობით **პლატონ ნადარაია.**

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს წერილს. ულრმეს მადლობას უცხადებ ყველა იმ პირთ, ვინც ჩემი ძმის სიკვდილს და დასაფლავებას პატივი სცა. განსაკუთრებით ჩუღურეთის მცირე კოლექტივს ს. დ. მ. პ. წევრებს, აგრეთვე ერთობის რედაქციას სამგლოვიარო განცხადების უფასოდ გაშვებისათვის და აგრეთვე მღვდელს ხარლამპი ხუციევს და მედავითნე ივანე მიხიაშვილს და სხვა მოქალაქეებს.

ალექსანდრე გაბრიელაშვილი.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

დავკარგე ნამსახურობის ნუსხა № 137, მოცემული 1—რაზმის უფროსის მიერ 1919 წ. ვაცხადებ გაუქმებულათ. **ილარიონ კუკალია.** (კუპ. 854—1—1)

დავკარგე ს. ს. დ. მ. პ. საწევრო წიგნაკი, მიღებული ფოთის კომიტეტისაგან ვაცხადებ გაუქმებულათ. სარდიონ გიორგის ძე ჩხაიძე. (კუპ. 855—1—)

ამით საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ მე კომუნისტურ პარტიასთან არ მქონებია არავითარი კავშირი და არც დღეიდან მექნება. **იუსტინე გელეიშვილი.** (კუპ. 856—1—1)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20. (1—ოქტ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 28** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეცილურად **სიფილისი,** ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (7—ოქტ.)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12 ოქტ.)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1—ოქტ.)

ექიმი
ზ. ი. ოკროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: … ქ. № 33. (21 ოქტ.)

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
დაბრუნდა და განაახლა სიფილისით („606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანით სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათ. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი
[illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 3. ტელეფ. 10—55. (11—ოქტ.)

ექიმი
დ. პ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი
[illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (11—ოქტ.)

ექიმი
ლ. პ. დიმენტი.
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო. ტელეფ 11—51. (11—ოქტ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 ოქტ.

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი
ბ. გ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი—5—42 (2—ოქტ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ოქტ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (1 ოქტ.)

სკოლის გარეშე განათლების საზოგადოება

საერთო კრება საზოგადოების წევრთა შესდგება 26 სექტემბერს, კვირას, დილის 10 საათზე, ბეჭდვითი კავშირის მუშათა სადგომში, (რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 23). დღის წესრიგი: 1) მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, 2) ფინანსიური ანგარიში, 3) მოხსენება კურსების ლექტორთა საბჭოსი, 4) არჩევა გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიისა. თუ რომ საკმაო კანონიერი … წევრებისა არ დაესწრო, მეორე კრება … დღის დილის 11 საათზე და ჩაითვლება კანონიერათ, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

გამგეობა. (3091 2—1)

რკ. გზის სასურსათო კომიტეტი

იწვევს უფროს და უნცროს მოანგარიშეებს თფილისის, ხაშურის, სამტრედიის, ქუთაისის და შორაპნის კოოპერატივებისათვის. მისამართი: ელისაბედის ქ. № 200. სასურსათო კომიტეტი. (6. 3—2)